მულტირელიგიური საქართველო

რელიგია, ენა, ეროვნება, თმის თუ კანის ფერი - ეს ყველაფერი არის ის, რაც პიროვნებას სხვებისგან გამოარჩევს. ზოგჯერ ამ განსხვავებების გამო ბევრი ადამიანი იჩაგრება, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ეს ჩაგვრაა, რომელიც გამოწვეულია ეთნიკური ან რელიგიური, განსხვავებული ტრადიციებისა თუ განსხვავებული შეხედულებების გამო. რაც ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებას არ აქვს განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანების მიმღეობა. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ზარალდება, არა მარტო განსხვავებული კულტურის მატარებელი ადამიანები, არამედ საზოგადოებაც. მრავალფეროვნება არის ის, რომ ერთმანეთისგან განხვავებული ადამიანები პატივს სცემენ თითოეული ადამიანის ინვიდუალობას, ღირებულებებს, ქცევის წესებს, შეხედულებებს და ასე შემდეგ.

რასობრივად და ეთნიკურად მრავალფეროვანია ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე დასახლებულია სხვადასხვა რასისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსახლეობა. ვფიქრობ, საქართველო მულტიკულტურულ და მულტირელიგიურ ქვეყანად ითვლება, რადგან საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ და ერთად ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობისა წარმომადგენლები.

ქართველი ერის ტოლერანტობაზე მიუთითებს ის ფაქტიც,რომ ძველ თბილისში 3 კილომეტრის რადიუსში გვხვდება 6 სხვადასხა რელიგიის სამლოცველო. ესენია, მეჩეთი მე-18 საუკუნეში აშენებული, ათეშგა, რომელიც ვარაუდობენ, რომ მე-5 საუნეში არის აგებული, სინაგოგა 1910 წელს, მარიამ ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების კათოლიკური ეკლესია - აშენებულია 1804 წელს, წმინდა გიორგის სომხური ეკლესია , რომელიც აგებულია 1251 წელს და იქ დასაფლავებულია პოეტი საიათნოვა, საბოლოოდ კი, მართმადიდებლური ეკლესია - მაცხოვრის შობის ტაძარი, რომელიც ააგო მე-5 საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა. იქვე დასაფლავებულია მეფის დედა და და.

საქართველოს მულტირელიგიური ბუნების შესახებ საუბრისას შემიძლია ჩემი მაგალითი მოვიყვანო. მე ვარ ადამიანი, რომელიც დავიბადე და ვცხოვრობ საქართველოში, თუმცა ვარ აზერმაიჯანელი და მუსლიმანი. საბედნიეროდ, მე არასოდეს ვყოფილვარ ზეწოლისა და ძალადობის მსხვერპლი, იმის გამო,რომ ვარ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ეს კი მიგვანიშნებს იმას, რომ საქართველო ნამდვილად მულტიკულტურული და მულტირელიგიურია. სწორედ ამ ესეს დაწერის შანსიც კი იმის ნიშანია, რომ მე შემიძლია ჩემი აზრი გამოვხატო და წინ წამოვწიო ის პრობლემები, რომელიც დღესდღეობით ამ კუთხით არსებობს საქართველოში.

მულტირელიგიურობის პრობლებმა გასულ საუკუნებში ევროპაში იყო გავრცელებული. როგორც ცნობილია, ევროპა უძველესი დროიდან იყო განვითარებული და სწორედ ამიტომ ბევრმა ადამიანმა შესწირა თავისი რელიგიას. მათ შორის იყო ცნობილი მწერალი სულხან-საბა ორბელიანიც. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით ორბელიანმა მიიღო კათოლიკური აღმსარებლობა, რაც ნიშნავს იმას, რომ XVII საუკუნეში ევროპაშიც კი არ იყო დამყარებული მულტირელიგიურობა.

ეს პრობლემა ხელოვნურად შექმნილი მეჩვენება და ვფიქრობ, რომ რაღაც პოლიტიკური ფაქტორით არის განპირობებული. თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს აზარალებს არამხოლოდ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, არამედ აზარალებს ქართველებსაც და საქართველოს უფუჭებს იმიჯს.

ამრიგად, საქართველოს მრავალფეროვნების, თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გააჩნია და ქართული საზოგადოება ნამდვილად ტოლერანტია. ამიტომ, ჩემი აზრით, ის ბარიერი, რომელიც არსებობს გამოსწორდება და დაუბრუნდება განვითარების ჩვეულებრივ რეჟიმს.

საბოლოოდ, მინდა ვთქვა, რომ მე მიყვარს საქართველო. ის ჩემი სამშობლოა.

მერი ასლანოვა

169-ე საჯარო სკოლა

მე-12 კლასი